

კაჟა ეტჰისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 21

2020



მთ. რედაქტორი

**ანზორ ხაბეიშვილი**

ტექნიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მწერალთა,  
მეცნიერთა და საზოგადო  
მოდერნიზატორთა აკადემია „ქალდეა-  
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-828-1 (21 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხოვის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, როგელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნიღება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, როგელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედიბაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამღვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწმეს ქართული კოეზიის რაინდის, საქართველოს გწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწერატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესკანის მეღლისა და „ღიოსკურია 2005“-ის, მწვიღობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიღობის დროშის ორდენის გწლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრემიღნტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრემიღნტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეშევი, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათოქმეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათოქმეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...


კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ ოქმება დღამიწვის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად უხეველი ყოველ ქებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

(გაგრძელება)

და ასე მირიადი ფერებით ბრწყინავს ვაჟა ეგრი-სელის პოეტური სამყარო. მისი პოეზიის მძაფრი ზემოქმედების ძალას განაპირობებს ხელოვნური სირთულეებით დაუჩრდილავი ნათელი და კაშკაშა აზრები, პოეტური სემანტიკის სიახლე და სიუხვე. ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა და შეუდარებელი მეტაფორული სიმდიდრე. პროფესორი მერი ბადრიაშვილი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „ვაჟა ეგრისელი – ესაა მოაზროვნე და მხატვარი, შემოქმედი, რომელიც ღრმადაა ჩახედული ცხოვრების გულისგულში. მის მხატვრულ კონცეფციას განსაზღვრავს ტრადიციის სიღრმისეული ცოდნა. თანამედროვეობის სწორად გაგებული შინაარსი, წარსულის პრაქტიკაც და მომავლის პერსპექტივაც“.

აკი ხატოვნად შენიშნავს პოეტი:





„მე ისევ ვდარდობ დედამიწას,  
მოქსოვილს გზებით,  
და ისევ ისე,  
სიმაღლის და სიცოცხლის მჯერა.  
ჩემი სურვილი  
კვლავ ზის რწმენის  
ღამაზ ბუდეში,  
იბუმბლეება და ეზრდება ფრთები  
და შორს გასაფრენ სივრცეებს ზვერაგს“.

(„ჩემი სურვილი“).

ვაჟა ეგრისელი თავისი შინაგანი მოწოდებით  
წვდება ეროვნული ისტორიის შრეებს და მთელ მის  
პოეზიაში ნერვიანად ფეთქავს ეროვნული პრობლემა,  
დაფიქრება წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ადამიანის  
რაობაზე. საზოგადოდ და კონკრეტულად  
ქართველი კაცის ყოფაზე, სიყვარულსა თუ სიძულ-  
ვილზე. სიკეთესა თუ ბოროტებაზე. პოეტი ნათლად  
ხედავს რომ:

„ზღვა აქვე –  
კარის მეზობლად სახლობს,  
სულს ღოცვად  
ხშირად აღავლენს ცაში.  
მერე ნაპირთან დაღლილ ზვირთთა



ისმის ნადური...  
და ნავში ჟონაეს წუხილი მლაშე,  
თვალბნელი ღამის  
და მებადურის“.

ვაჟა ეგრისელის ზღვათა პოეზიაში ვერ იპოვით დაღლილი სულის კენესას და ვაი-ვიშს. ეს უფრო შეძრწუნებული და აბორგებული, მაგრამ მარადიული სულის ყივილია. და ჩემი ღრმა რწმენით ზემოთ მოტანილი სტრიქონები მხოლოდ იმიტომ ხდება საჭირო, რომ რეალობას გაესვას ხაზი. პოეტი მთელი არსებით მიგვანიშნებს წუთისოფლის ხიდის გადალახვის აუცილებლობაზე, რწმენისა და ძალის აღდგენაზე და უნდა ვირწმუნოთ რომ კოლხეთიდან, აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, დადგება დრო და მოვა ის, ვინც ქვეყანას, ერს გადაარჩენს. აკი მოდიოდა კიდევ, როცა მამულს უჭირდა. ეს გმირის ძიებაა, და ამავე დროს რწმენა დიადი მომავლისა, როცა:

„ღამის ნაპირთან –  
ზღვად ჩასული  
მზისთვის ღოდინი,  
სიშორის ტოტზე – ცა მოყვავილე,  
და ჟამს ცისკრისას – შორეული,  
ვითა ლეგენდა –  
მამლის ყივილი,



ძროხის ბლავილი –  
აღმოსავლეთით დილად შედგა“.

ეს რწმენა, ეს ყივილი მამლისა იძლევა სწორედ სილამაზისა და სიყვარულის იდეალებთან დაახლოების ჭეშმარიტ საფუძველს და პოეტის ლირიკული ექო უფრო თბება ერთგვარად და სულის ამ ბორგვას უაღრესად ლირიკული სტრიქონები ენაცვლება:

„როგორც პრომეთეს სისხლის წვეთები,  
მიწის ხსოვნიდან  
ამოენთნენ

ყაყაჩოები,  
და ზეაწვდილი წითელ ქოლგებით –  
მწვანე მინდვრები გადაირბინეს...  
ხოლო ზაფხული,  
ვნებააშლილ, შიშველ ქალივით,  
ზღვის ბნელ სიღმეში შესულა და...  
სხეულს იგრილებს“.

საზოგადოდ, სამშობლოს სიყვარულის თემა ქართული მწერლობის ერთერთი ძირითადი თემაა. ამ მოტივის წინ წამოწვევით ზღვათა პოეზიაში ვაჟა ეგრისელმა ოსტატურად გამოკვეთა ეროვნული პოზიცია, რადიკალური დამოკიდებულება დღევანდელი ქართული სინამდვილისადმი. აქვე მინდა შევნიშნო



რომ ვაჟა ეგრისელის მსოფლგანცდა სპეციფიკურია: „სამშობლოს მტერი ბნელში შეგლისე, ვაჟა ეგრისელ!“ პოეტის ამ განცხადებაში ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ კოლხი ჭაბუკის სიყვარულს სხვა საფუძველი აქვს, აქ უფრო მეტი ტკივილი დაჰყვება პატრიოტიზმის გრძნობას, აქ უფრო მეტად შეიგრძნობა ისტორიის სუსხიანი ქარი.

„კელაპტარივით ჩამქრალ დღეებს  
ისევ ანთებენ –  
ლაჟვარდოვანი სვეტ-თაღები  
და გუმბათები.  
კოლხური დამე –  
გრძნეული  
და სიზმარეული  
თუთრჩელათი ისევ შეუვლის –  
არყოფნის მაღალ აივნებზე  
დამსხდარ აჩრდილებს“.

ვაჟა ეგრისელი ეროვნული მეობის აღორძინებას – წარსულის მნიშვნელოვან ღირებულებას უკავშირებს, მისი პოეტური საკურთხეველი მონოლითურია:

„წარსულში უცებ წინაპარმა  
ხმალი იშიშვლა –  
ასე მგონია, როცა იელვებს,



ზღვაში თვალს ახელს სასწაული  
და ფანტაზია.

ქუხილი არა,  
აიეტი და ფარტაზია,  
ისევ ებრძვიან პონტოს პირას –  
ბიზანტიელებს“.

ზემოთ აღვნიშნე – ლირიკული ტონი თანდათანობით უფრო თბება-მეთქი და სწორედ ეს სიტბო იმ სინათლიდან მოდის, რითაც მაინც მდიდარი იყო ჩვენი თვალწარმტაცი საქართველო, თუნდაც უკიდურესი ძნელბედობის ეამს.

„თმაგაბურძგვნილი, შავი და ცივი,  
ღამე მახსენებს კოლხეთის წარსულს,

გამკრთალი ელვა  
– შეცხადება მეგრული დედის,  
რომელსაც უცებ,

მოსტაცეს შვილი,  
გადამთიელმა ყურსაღარებმა.  
და მოდის ქარი სიშორის ტოტით  
და მარტო ვრჩები ღელვასთან და  
წარსულის ქართან.

კივილი...

მოთქმა...

შეცხადება...



სისხლი და ცრემლი...  
სხვა არაფერი... არაფერი

სიბნელის გარდა“.

(„წარსულის ქარი“)

როცა ეს სტრიქონები წავიკითხე ყურში ჩამესმა ჩვენი დროის დიდი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის სიტყვები, რომელიც მან პოეტის 60 წლის იუბილეზე წარმოთქვა. (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის შეხვედრაზე). “ზის მაგიდასთან სიჩუმის სკამზე და ულამაზეს დღეების თვლაში აყოლებს ფიქრის აქატს და მარჯანს, და გაოცებული დედამიწას ჩასცქერის თვალში და ცისკენ მზირალ საუკუნეს უსინჯავს მაჯას“ – ეს იმ კაცის განცდაა, რომლის გულის სამზერად და თვალის დასანახად უზენაესს იმდენი შესაცნობი სავსე ფერებით დაუხუნძლავს მისი სიცოცხლის ხე, რომ მკითხველს აიძულებს ირწმუნოს ღვთისმკვიდრი ფერების უსასრულობა და სასწაული“.

„ქართულ პოეზიაში ძველი დროიდან მოყოლებული ჭარბობს პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსები. და აქ, ამ სფეროში თითქმის ყველაფერია თქმული შედეგების სახით. მაგრამ ვაჟა ეგრისელი ახერხებს შექმნას პატრიოტული ღირიკის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები. მრავალთავან ერთი უნდა გამოვარჩიოთ:



„რვა საუკუნის მერე მოველ კოხთაგორასთან  
და სამშობლოსთვის აგიზგიზებულ –  
მამულიშვილთა ერთგულების კოცონზე  
ვობები.

არ ჩანს ცოტნე...

არც გაგელი...

და არც ჯაყელი,

შეთქმულებივით ისევ სდუმან მოსუცი მთები  
და უჩანთ თოვლის თეთრი საყელო“.

(„კოხტასთავთან“)

ამ ლექსში ძალუმად გვხიბლავს აზრის სიღრმი-  
სეული სტრუქტურა, რიტმული სისტემის ორიგინა-  
ლობა და ემოციური მხარე. ლექსის ლირიკული გმი-  
რი თანაგამცდელია რვა საუკუნის წინათ დატრია-  
ლებული ტრაგედიისა. ლექსის მეორე სტროფი ნაღ-  
ვლიანია. ავტორი თავის თანამედროვეებში ვერ ხე-  
დავს იმ ზნეობრივ სიმაღლეს, რომელიც კოხტაგო-  
რის გმირებს გააჩნდათ. ამიტომაც ამბობს ნაღვლია-  
ნად პოეტი: „არა ჩანს ცოტნე... არც გაგელი... და  
არც ჯაყელი-ო“!

ასეთ შემთხვევაში ვინ იცის, ეგებ გაწყდეს ბეწ-  
ვის ხიდი და ამიტომაც არაა გასაკვირი პოეტის სევ-  
დიანი კილო, ორიგინალური პოეტური ფორმით რომ



აცხადებს: „სამშობლოსათვის აგიზგიზებულ მამულიშიერთა ერთგულების კოცონზე ვთბები“.

ზემოთმოტანილი ლექსი კიდევ ერთი ნაღვლიანი მეტაფორაა ჩვენი ლიტერატურისა, მაგრამ ამ სევდანაღველს თან სდევს იმედის ნაპერწკალიც, რწმენა იმისა რომ მუდამ გაიმარჯვებს ამადლებული აზრის სიდიადე. მე მომწონს მისი უნარი, ორიგინალურ მხატვრულ ფორმაში მოქცეული ღრმა კრიტიკული აზროვნება, მაღალი ინტელექტი და განუმეორებელი სტილი, რომელიც ასე დამაჯერებლად მოქმედებს მკითხველზე და ალბათ ამიტომაცაა, რომ ვერისეფლის ფიქრის სიღრმე იმდენად შთამბეჭდავია რომ სულიერი გაუცხოებით დაღმადანსმულ ამ ეპოქაში მკითხველს აზროვნებისათვის განაწყობს და ასწავლის სილამაზისაკენ დაუოკებელ სწრაფვას...

ვაჟა ვერისეფლის ზღვისადმი მიძღვნილ ლექსებს ეგზოტიკური სურნელი დაჰკრავს, მისი გემები, ნავები და ხომალდები სიყვარულისა და სილამაზის, მშვენიერების მაძიებლები არიან და მათი გამოჩენა პოეტის სულში ჯადოსნურ ფიქრებს აღძრავს. ზღვისა და მისი გარემოს რომანტიკული აღქმის ჭეშმარიტი სურათია შემდეგი ლექსი:

„სიჩუმეს მძევლად დაფუტოვე ოდა  
ფიცრული,  
საგზლად ვიკმარე თავორი და





ბრძენი ოვიდი  
და შენთან, როგორც ძმად შეფიცული  
ზღვაო მოკვდი,  
შენზე ძლიერს ვის ვიპოვიდი.  
მზისებრ დაგყურებ მაღალ  
მიზნიდან,  
კოცნი შენს ტალღებს,  
ვით მშობლიურ მიწა-აყალოს,  
შენც მიწასავით გულში მიკრავ,  
შენსკენ მიზიდავ,  
უსაზღვროება და სიცოცხლე  
რომ შემაყვარო“.

„სიტყვიერი ფერწერა, სიტყვიერი პლასტიკა მხატვრულობის უდიდესი კომპონენტია, მაგრამ მხოლოდ სიტყვა, მხოლოდ მხატვრულობა, მხოლოდ სახე დიდ ლიტერატურას ვერ ქმნის.

საბედნიეროდ ლიტერატურის განმწმენდელი არსი, გატაცებათა დაძლევა – დაურევბაა პოეტური სიტყვის ძალით“ – აღნიშნავს პროფესორი მერი ბადრიაშვილი წერილში „პოეტის კვართით დაბადებული“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური ხატები და მეტაფორები ჩვენს ცნობიერებაში შემოდის როგორც ახალი, თვითმყოფადი, ხელისშესახები ფერწერული სურათები, მისი მხატვრული სამყარო თავის გამოსხატულება-



ში ის რწმენაა, რომელსაც დრო ვერაფერს დააკლებს, რადგან როგორც ავტორი ამბობს:

„ჩემი რწმენა მუდამ მიიწევს ცისკენ –  
ბუხრიდან ამოსულ კვამლივით ამაყი“.

აქვე თავს უფლებას მივცემ ვრცლად მოვიტანო მწერლის და მეცნიერის, პროფესორ რევაზ მიშველაძისეული შეფასება, რომელშიც მეტად კონდენცირებულადაა ჩატეული პოეტის შემოქმედებითი თავისებურების დახასიათება:

„კვაჟა ვერისელმა წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მინიატურული ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორითა და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკითხველის განწყობილებებთან მისადაგებელი და თავებრუდამხვევი სინქარით დაღლილი მოქალაქისათვის ადვილად აღსაქმელი თითოსტროფიანი ლექსით მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი. ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოს ლიტერატურული ქამანდი გახლავთ უეცრად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლითა და ლაპიდარულობით ყურადღებას რომ მიგაქცევენებს, მერე უაღრესად თანადროული და ეროვნული



აზროვნებით გაიძულეებს ჩამოჯდუ და პოეტის ფიქრი გაიზიარო, მის სტრიქონებთან ღამე გაათიო“.

ზღვის ლექსები გამოხატავენ პოეტის საკაცობრიო ტკივილებს. ამ ლექსებით ვაჟა ეგრისელმა ნათლად გვაგრძნობინა ბუნებისა და ადამიანის ცოცხალი კავშირი. ეს ლექსები უფრო მეტად ქართველი პოეტის სულის აღსარებაა. ცხოვრების აზრია და როგორც ბატონი აკაკი გელოვანი ბრძანებს:

„იქმენ ნათელი“ – ესაა ღაკონური პოეზიის უზარმაზარი წიგნი, ფერადი მოზაიკა, ერთგვარი მოგზაურობა და მკითხველი უთუოდ იგრძნობს, რომ მისი თანამგზავრია ქართულ სამყაროში გადმოსული ეგრისის მსგავსი ჰელიკონის ჭალების მუზა“.

როცა ვაჟა ეგრისელის ზღვის ლექსებს ვკითხულობ, ვგრძნობ როგორი ფაქიზი და იღუმალებით სავსეა ეს ლექსები. პოეტისეული მეტაფორები ჩემში უცნაურ ასოციაციებს აღძრავს:

ვკითხულობ ამ ლექსს და თითქოს წმინდა ტაძარში ვარ, ვხედავ როგორ ეშვება ნათელი. უნებურად თითქოს არიადნეს ძაფში გავები, მაგრამ არა, მწვიდლობიანად მივატანე დასასრულს, რადგან ყველაფერი უფლის ნათლითაა გაცისკროვნებული და მინც:

„და ტანჯვის მძიმე გრდემლზე გღია  
პოეტის სული,



უამი მჭედელი –  
მზის უროთი კვერავს და კვერავს“.

ეგრისელის პოეზიაში გაცნობიერებულია სიკვდილის რაობა სიცოცხლესთან ერთად. სიკვდილზე ფიქრი სულის, ხელოვნების მარადიულობაზე აფიქრებინებს პოეტს და საღვთო ბილიკებით სიარულს შთააგონებს. მისი ლირიკა და კერძოდ ზღვის ლექსები დაუოკებელი წყურვილია სიცოცხლისა და უამრავ კითხვას ბადებს. პოეტს სწამს სიცოცხლის მარადიულობა, რომელიც მატებს ძალასა და ენერგიას – დაძლიოს შიში მოახლოებული სიკვდილისა, რათა იზეიმოს სულის დღესასწაული. სიცოცხლის ინსტიქტის აღიარება. პოეტის რწმენით იმისათვის, რომ დაბრკოლებები გადალახოს, რომ სძლიოს ბოროტება, მას უღვდამუღლებელი წყაროა ზღვა. პოეტი ზღვას შეეფიცა და ზღვაც გულში იკრავს „მმადშეფიცულს“, რათა უსაზღვროება და სიცოცხლე შეაყვაროს.

ვაჟა ეგრისელისათვის უმთავრესი მიზანი სიკვდილის წინაშე გამოცდის ბრწყინვალედ ჩაბარებისათვის მზადებაა. ამიტომაცაა რომ:

„მწვანეს იცვამენ გაზაფხულები,  
თეთრად ჰყვავიან ზამთრის ბალები...“



არრა ატყვიათ წუთისოფლის კვამლთა და ბოლ-  
თა

ჩვენ შეიღნი მისნი სიცოცხლედ ვხმობთ იქ  
ნაცემ ბოლთას“.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მსოფლიოს ყო-  
ველ დიდ შემოქმედს უცდია მიღმური სამყაროს  
ფარდის გადაწვევა და ლანდეთის იღუმალებათა შეც-  
ნობა. ამ ძიების მიზანია შემეცნების გაფართოება,  
რადგან ჩვენ უცნობისა და დაფარულის ძიებისას  
უფრო უკეთესნი, უფრო მხნენი და ქმედითნი ვხვდუ-  
ბით“. პოეტისათვის მთავარია ადამიანური სამყაროს  
ღირსეულობის შეგრძნება, რის შემდეგაც ედება ფა-  
სი სამშობლოსა და მის თვალწარმტაც ბუნებას. ვა-  
ჟა ეგრისელი ისწრაფვის გაუსწროს დროს, მოას-  
წროს ლამაზი ფერებით უხილავის ნახვა და გან-  
გვაცდევინოს სამყაროს შეგრძნების დიადი საიდუმ-  
ლოება:

„გრიგალი,

– არა

წუთისოფლის ქრიან ქარები.

იჩქარი?

არა!

მე არსად არ მიმეჩქარება.

მაშ?!



– ქალბატონი დრო მახქარებს“.

ამ ვარაუდში ადამიანური არსებობის, რაობის პროტისეული კრელოა გამუდმდებელი. ცნობისმოყვარეობა და გაოცების უნარი – აი ჩვენი არსებობის, ჩვენი სასიცოცხლო ენერჯის ორი უმთავრესი ბიძგი და სტიმიული.

კ. გამსახურდიამ სიკვდილს ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილი მეშვიდე ბეჭედი, ჩვენი სულის უკანასკნელი წრთობა, უკანასკნელი ომი, მოუცილებელი მებაჯრე უწოდა.

„მთელი ამქვეყნიური სიბრძნის, მთელი ჩვენი ბჭობისა და მსჯელობის საბოლოო დანიშნულება ის გახლავთ, რომ გვასწავლონ თუ როგორ დავადწიოთ თავი სიკვდილის შიშს“ – წერს ფრენს ბეკონი.

სიკვდილთან გაბედული თამაშით, მისი საიდუმლოების ამოცნობის მძაფრი სურვილითა და გამუდმებული დგომით უკანასკნელ ზღვართან ვაჟა ეგრი-სელმა გაიშინაურა სიკვდილი და დაამარცხა შიში, რომელიც თან სდევს სიკვდილის განცდას, იმ რწმენით, რომ სიცოცხლეა თავად სიკვდილის მკვლელი.

„შენ გენაცვალე, დიდო სიცოცხლე,  
გულში რომ გვიკრავ  
ღვიძლ დედასავით,



თუმცა გზადაგზა მწუხარების გვიხველტავს  
ეკალი  
და დღე და ღამით სადღაც დასავლით –  
მიგვარბენინებს აქ – არყოფნის ქარი  
ხელმკლავით“.

ვაჟა ეგრისელს ღრმად სჯერა ბეწვის ხიდით  
სიკვდილის გაღმა გასვლა. პოეტი გონიერი სიცოც-  
ხლის იდეას განადიდებს, რამეთუ:

„დროებით მხოლოდ სიყვარულმა  
უნდა დაგვათროს,  
შემოვატაროთ დედამიწას თვალი ფხიზელი,  
ვიყოთ ფხიზლები, –  
სანამ ღამაში სიცოცხლიდან  
დაუკითხავად,  
ღამაზ სიკვდილში გადავიზრდებით“.

იმქვეყნიურ, ზეციურ საქართველოსთან შეხვედ-  
რას ყველა თავისებურად აღიქვამს. ზოგი იქ სინათ-  
ლითა და ვარსკვლავებით, ცისარტყელებით განათუ-  
ბულ მთელ სამყაროს ხედავს, რომელიც ადამიანს  
სიყვარულით, სიხარულით ავსებს.

აკი ედგარ პოსათვის სიკვდილი წითელი ფერი  
იყო, მომხიბლავი და მომწუსხველი, მაღარმესთან



ოქროსფერი, ვერდენტთან მზისფერი, ტ. გრანელთან  
კი ცისფერი.

ვაჟა ეგრისელს თავისებური იმპევენიური სამყა-  
რო აქვს, მას იმპევენადაც თავისი ვარსკვლავი, თა-  
ვისი მნათობი ეგულება, რომელიც თვალს ჭრის და  
იქ საუფლოში ესმის ანგელოსთა ციური გალობა...

უნებურად გრიგოლ ხანძთელი გვახსენდება, რო-  
მელსაც გარდაცვალების დროს ესმოდა „სიხარულის  
ხმა“.

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





\* \* \*

სამყარო რომ შეარყიო,  
მიდი,  
ერთხელ კიდევ სცადე:  
სივრცე დასცე ხმა – მეხური.  
მერე მეთერთმეტე ცამდე,\*  
აჰყევ მნათთა მოოქროვილ  
საფეხურებს.

1989

---

\* მეთერთმეტე ცა – სადაც მხოლოდ  
სინათლე და ღმერთია

\* \* \*

მოგწყინდა ყოფნა დედამიწაზე,  
ცად ხეტიალი  
შეებას განიჭებს,  
სივრცეები ცივ ხელებს გართმევენ.  
გადააბიჯე მთვარის –  
კარიბჭეს  
და მეცხრე ცისკენ მიემართები.

1965



\* \* \*

შორ წარსულის ნისლში  
რომ ჩანს,  
მთვარე არა, ბაბილონის გოდოლია,  
ვარსკვლავები – ხეებია არყების.  
კაცის ყოფნა –  
შემოდგომის ფოთოლია;  
ჩამოივლის ქარი და მას გაყვება.

1983



## გამოცხადება

„მეფე ფარნავაზს მზის სახით  
გამოეცხადა ღმერთი“.  
„ქართლის ცხოვრება“.

უღმერთობას ჩივიან,  
ამიტომაც ვცხარდები!  
და ბევრიც რომ მედაონ!  
მწამს ღვთის გამოცხადების,  
ვით ბიბლიურ  
გედეონს.

1962



\* \* \*

ეს ქათათა ღრუბლები –  
შემოსილი სინათლით,  
თითქოს უფლის წვერია.  
და ვით ბერებს ათონის,  
პეტრიწის და სინას მთის,  
„კოლხური ფსალმუნები“,  
სულ ღამით გიწვერია.

2006



**მოვა დიდება**

არსთაგამრიგეს მაღლი შეწირე  
და ანგელოზებს უთხარ  
„ოსანა“.

რადგან თენდება და არ ბინდდება.  
შენ ნუ იჩქარი,  
გვირგვინოსანი,  
თავისი ფეხით მოვა დიდება.

2005



**ჩე გოლა**

რომ წუთისოფლის შარაზე,  
რამზეს მეორის ეტლივით,  
ათასწლეულებს ეგორა.  
კოლხურ ცას –  
„გრაალს შესტირის,  
მისი მშობელი „ჩე გოლა“.\*

1964

---

\* ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა.



## ლევან II დადიანი

„ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი  
ლეონ, ყოვლისა საქართველოს პატრონი“.  
ცაიშური გუგენი.

ვით ლამბრეტი და კასტელი,  
ბევრი სხვაც ხოტბას  
ასხამენ  
და დიდ ცოტნესაც ადრიან –  
„ხელმწიფეს ივერიისას“  
ლევან მეორე დადიანს.

1996





**ისევ კოლხეთის მისტერია**


ათასწლეულების მერეც,  
სიტყვა აღარ იცვლის იერს,  
ასე სჯერა ჰანს გზენგერს და  
დიოდორე სიცილიელს:  
რომ პირველად კოლხეთს იშვა  
მისტერია,  
ცას რომ იტევს  
და არა რომს და ეგვიპტეს.

1978



\* \* \*

იქ დავიდებ საცხოვრისს,  
ჩანგითა და კითარით,  
სადაც საუკუნენი  
მიჰქროლავენ წამებად.  
სანთელს ვუნთებ სამებას,  
ვითარც ერთს.



\* \* \*

წარსულ უამთა მზის სარკეში,  
ედემიდან განდევნილი,  
თმაგაშლილი მოჩანს ევა...  
მე, ვით ადამის ძე – სეთი,  
ანდა სამოთხეში შევალ,  
ან მომელის ჯოჯოხეთი.

2001



არყოფნის გიხდება მოცდა

ყოფნისთვის კი არა,

ეხლა,

არყოფნის გიხდება მოცდა.

მადღმფენელს, სულისთვის ამოს,

მეცხრე ცის მინდორზე ლოცავ,

კირკესი კი არა,

სხვა მოღს!

1989



\* \* \*

იდუმალებით სავსეა ეგვიპტე,  
მაგრამ კოლხეთი  
სხვა რამეა,  
სამყარო რომ უდგას თვალებში.  
შენი პოეზია –  
სავანეა,  
„ფილოსოფიური ქვით“ ნაღესი.

1970



**სამება**

იქ სადაც სინათლე მეუფობს  
და აღარასოდეს ღამდება,  
გზას რომ სიშორის  
აუდის აღმური,  
ხატება იქ იღანდება:  
გრაალის, საწმისის,  
კოლხური ფსალმუნის.

1993



\* \* \*

ქარის ხოპებით რომ მიაპობს  
ცის ოკეანეს  
მთვარე –  
ჩემი პაპის – პაპაა.  
ელვით დაჭრილი და დაკრუნხული,  
წამოიმართა ზღვა,  
ვით ურჩხული  
და დაელირა მშობლიურ ცას  
ჩასაყლაპავად.

1981



\* \* \*

შორ წარსულის ნისლში  
რომ ჩანს,  
მთვარე არა, ბაბილონის გოდოლია,  
ვარსკვლავები – ხეებია არყების.  
კაცის ყოფნა –  
შემოდგომის  
ფოთოლია;  
ჩამოივლის ქარი და მას გაყვება.

1983





კო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი

ყოველ შაბათს,

ყოველ კვირას,

მუხლმოყრილი პონტოს პირას,

ზის მოხუცი ოლიფანტე

და წარსულში აყურადებს:

თარხონსა<sup>1</sup> და

კორიბანტებს<sup>2</sup>.

1962

---

<sup>1</sup> თარხონი – ქუხილის ღვთაება ძველ კოლხურ პანთეონში.

<sup>2</sup> კორიბანტები – მფარველი ანგელოზები.



\* \* \*

ეს ქათქათა ღრუბლები –  
შემოსილი სინათლით,  
თითქოს უფლის წვერია.  
და ვით ბერებს ათონის,  
პეტრიწის და სინას მთის,  
„კოლხური ფსალმუნები“,  
სულ ღამით გიწვერია.

2006



**მოვა დიდება**

არსთაგამრიგეს მაღლი შეწირე  
და ანგელოზებს უთხარ  
„ოსანა“.

რადგან თენდება და არ ბინდდება.  
შენ ნუ იჩქარი,  
გვირგვინოსანი,  
თავისი ფეხით მოვა დიდება.

2005



**ჩე გოლა**

რომ წუთისოფლის შარაზე,  
რამზეს მეორის ეტლივით,  
ათასწლეულებს ეგორა.  
კოლხურ ცას –  
„გრააღს შესტირის,  
მისი მშობელი „ჩე გოლა“.\*

1964

---

\* ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა.



\* \* \*

უფლის ხელებით ნაგებს,  
რომ შეაფაროთ თავი:  
პარიზს,  
რომსა თუ ვერსალს,  
მაინც ძვირფასო,  
სიკვდილს,  
ვერო გაექცევით ვერსად.

1974



**ისევ კოლხეთის მისტიკა**

ათასწლეულების მერეც,  
სიტყვა აღარ იცვლის იერს,  
ასე სჯერა ჰანს გზენგერს

და  
დიოდორე სიცილიელს:  
რომ პირველად კოლხეთს იშვა  
მისტერია,

ცას რომ იტევს  
და არა რომს და ეგვიპტეს.

1978



\* \* \*

იქ დავიდებ საცხოვრისს,  
ჩანგითა და კითარით,  
სადაც საუკუნენი  
მიჰქროლავენ წამებად.  
სანთელს ეუნთებ სამებას,  
ვითარც ერთს.



\* \* \*

წარსულ უამთა მზის სარკეში,  
ედემიდან განდევნილი,  
თმაგაშლილი მოჩანს ევა...  
მე, ვით ადამის ძე – სეთი,  
ანდა სამოთხეში შევალ,  
ან მომელის ჯოჯოხეთი.

2001





არყოფნის გიხდება მოცდა

ყოფნისთვის კი არა,  
ეხლა,  
არყოფნის გიხდება მოცდა.  
მადლმფენელს, სულისთვის ამოს,  
მეცხრე ცის მინდორზე ლოცავ,  
კირკესი კი არა,  
სხვა მოღს!

1989



\* \* \*

იდუმალებით სავსეა ეგვიპტე,  
მაგრამ კოლხეთი  
სხვა რამეა,  
სამყარო რომ უღვას თვალებში.  
შენი პოეზია –  
სავანეა,  
„ფილოსოფიური ქვით“ ნაღესი.

1970



## სამება

იქ სადაც სინათლე მეუფობს  
და აღარასოდეს ღამდება,  
გზას რომ სიშორის  
აუდის აღმური,  
ხატება იქ იღანდება:  
გრაადის, საწმისის,  
კოლხური ფსალმუნის.

1993



\* \* \*

„მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“  
ათასხუთასზე მეტ გვერდიან მესხეთე ტომზე.

მორჩა,

სიბრძნის მზე ამობრწყინდა –  
თითქოსდა წადილი აისრულე,  
რადგან, ვით დავითის „ფსალმუნებიდან“  
ათასწლეულებით დაისრული,  
„კოლხურშიც“ ხმა ისმის  
ქეიბურთა,  
უცხო რამ, აპოკალიფსური.

1996



**ტრანსცენდენტური\***

დღე და ღამე, –

შენი ოქროს ფრთებია  
და სამყაროს ატოლებ.

მზე და მთვარე, ვით ნიშა და ნიკორა,  
უამთა ურემს –

შენმა ხმებმა შეუბეს.

ქართულ სიტყვის შენ ხარ იმპერატორი,  
სული წმინდა...

და ცხრავე ცის მეუფე.

1999

---

\* ტრანსცენდენტური (ლათ.) – რაც საზღვარს სცილდება, შემეცნებისთვის მიუღწეველი.



\* \* \*

ცას რომ წედებოდა წვერით  
ოდესღაც,  
ცნობადის ის ხე ისევ ირხევა:  
კავკასიონის დიდი მთები  
ტიტანს ელიან.  
აიეტის კოლხეთი კი – ძველი ციხეა,  
სამეგრელო –  
საქართველოს ციტადელია.

1962



## ისევ გამოცხადება

ორი ათასი, ვით წამი  
გაქრა და...  
მთაზე სიონის,

ისევ ისე დგება კრავი.

მისდგომია მზე კარებთან.

ვარსკვლავები ქნარს უკრავენ,  
ვისმენ ჰანგებს მექნარეთა.

1979



\* \* \*

ადამიანიც რწყულდებოდა  
საქონელივით,  
სანამ გონებამ ზარი დარეკა,  
მენდელევთან და სხვაა ჰალევთან.  
ადამის ძეს კი ხომ ათასი  
წელი არ ეყო,  
სანამ წყაროს წყალს პეშვით  
დალევდა.

2009





\* \* \*

პონტოსა და ფაზისის პირ  
ადრე მცხოვრებ  
კოლხ-ლაზ-ჭანებს  
იხსენებენ...

ესიზმრებათ,  
ათასეულ წლების მერე,  
სამეგრელოს კოხტა ჭალებს.

1988



\* \* \*

(ვარიანტი)

ვითარც ადრე,  
აღსავლიდან,  
როგორც სიბრძნის ქარიშხალი,  
„ღაზელების“ ჰქერის სამუმი:  
ელ არაბის,  
ხაიამის,  
საად, ჯაღალ ედ-დინ რუმის.

1971



\* \* \*

გადაიქროლეს ყრმობის ქარებმა,  
გათავდა,  
მორხა უამი გამოცდის.  
სიცოცხლით მთვრალი,  
სიცოცხლეს მღერი.  
ჩამოიფერთხე წელი სამოცი  
და აი, ახლა,  
სამოცდაათის –  
გაცვივა მტვერი.

2008



\* \* \*

მოსველი,  
შეგშენის,  
კაცური საღამი.  
რადგანაც ცხოვრება  
შექმენი შენ, შენი,  
ვით გრიგოლ პალამამ.

2007



\* \* \*

ცაში ანგელოზები,  
აეს და კარგს ვერ  
არჩევნ,  
მიწაზე არ ეტევა –  
ოქრო,  
ვერცხლი,  
ფარჩები.  
ბოლოს ქვეყნად ყოველი,  
ყველას ოხრად დარჩება.

2009



\* \* \*

ახლაც,  
ავისმდომის ლანდი,  
საქართველოს მინდორ-ველად,  
დაჭიხვინებს, როგორც კვიცი.  
და ქართველი ისევ ელის,  
სმაღზე სისხლის  
წითელ სიცილს.

1989



\* \* \*

უფარს ნორჩი სიცოცხლე,  
ბებერსაც არ თაკილობს  
სახით –  
ნიანგს მიაგავს  
და სიკედილი ნიადაგ  
ყველგან ეძებს  
საკბილოს.

2007



\* \* \*

ვით ჩინელს და ინდოელს,  
კარგად მოეხსენება,  
ხორგელსა თუ  
ანაგელს,  
რომ ცა-მათი ღმერთია  
და ბედსაც ის  
განაგებს.

1977







\* \* \*

დაუტოვიათ უამთა სინესტე  
და გადუვლიათ ღრუბლებს  
შაოსანთ.

მაინც სიშანის მთაზე ისევ  
ელის სინ ესი<sup>1</sup>,  
„დარდის ეკლებზე მძინარ  
ჰაო „ანს“<sup>2</sup>.

2001

---

1,2 – ჩინელი პოეტები.



\* \* \*

ლოცვის ატლასით მოსილი,  
ენუკვი შენ უფლის ოროს<sup>1</sup>.  
სხვები კი სინდისმა ჰქენჯნონ  
შენ,  
ცაში მთიებთან ცხოვრობ  
და არა მიწაში,  
ვით ჰენჯო.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ორო (მეგრ.) – ჩრდილი.

<sup>2</sup> ჰენჯო – იაპონელი ეპისკოპოსი (IX ს).



\* \* \*

ჩვენი ბედისწერის ძაფს,  
მზის ცხელ გვერგვზე  
ართავს ცა.

მაგრამ თუკი ვიმარჯვეთ  
და სიკვდილსაც გაუთასმავთ,  
მაშინ წელს ასს,  
არა,

ჩვენ ვიცოცხლებთ ათასსაც.

2007



\* \* \*

ვარსკვლავები –  
ანგელოზებია,  
მთვარე კი არა,  
მხოლოდ მზეა – ღმერთი სრული.  
ჩვენ ერთი ვართ და ღელვას  
არ ვიშლით.  
მე და ზღვას გვიღვას ერთი სული,  
ცით გადმოსული  
სული ქარიშხლის.

2005



\* \* \*

აქ არყოფნის ტოტზე მჯდარი,  
შაშვივით თვალდახუჭული,  
დღენიადაგ ყოფნას გალობ,  
რომ რეკს, დამის მზის ზარია.  
და შენ იცი,  
ეს საწუთრო –  
სიზმრის,  
სიზმრის –  
სიზმარია.

1966



\* \* \*

ამ ციხევეშეთში,  
ნეტავი რა უნდა გიკვირდეს,  
როცა ადამიანს  
სიცოცხლე,  
თავისი ფეხით რომ მიჰყავს  
სიკვდილთან.

2006



\* \* \*

ზღაპრებში და ლეგენდებში,  
ეჰ, რამდენი მიძინია.  
და სიზმრებში მინახია  
„დაო ღე“<sup>1</sup> და „შიძინია“<sup>2</sup>  
ისე, როგორც „კოლხურ ფსალმუნს“,  
მზე შევნოდათ მზის ძირიანს.

1992

---

<sup>1</sup> „დაო ღე ძინი“ – წიგნი მზისა და ხათროებისა (ჩინური პირველი პოეტური ძეგლი (VI ს. ჩვ.წ.ა.)

<sup>2</sup> „შიძინი“ – ჩინური ხალხური შემოქმედების უძველესი ძეგლი.





\* \* \*

(ვარიანტი)

მოვა ამქვეყნად...

და ძე ადამის,

ყოფნა არ ყოფნის დღეზე არ მსჯელობს.

თუმც...

ვითა ბრძანებს

მიქელ ანჯელო

სიკვდილი ხსნაა...

სიცოცხლეა კაცთა

სასჯელი.

2003



## ტოვებ „უპანიშადებს“

ცათა იდუმალების

გწვავს და გბუგავს  
აღმური,

მაგრამ ვიღაც გამშვიდებს

– ტოვებ „კოლხურ ფსალმუნებს“,  
როგორც „უპანიშადებს“\*.

2001

---

\* „უპანიშადები“ (სანსკრ.) – საიდუმლო მოძღვრება და-  
წერილი ლექსად და პროზად (VIII-VII ს.ჩვ.წ.ა.)



\* \* \*

ეამთა ცხრაკლიტულში,  
შენ რომ მიგიგნია –  
წიგნი „იქმენ ნათელი“  
უშქარ ღამენათევი,  
უფლის წიგნთა –  
წიგნია.

1993



## მცხეთაში ჩანიანის ბახსენება

სადღაც ცის სიღურჯეში,  
მთვარე წელში მოხრილი,  
ფეხმოდრეცილ ჩანს იად.  
ფუ ჯუს<sup>1</sup> მოჰგავს – თბილისი,  
და მცხეთა კი – ჩანიანს<sup>2</sup>.

1983

---

<sup>1</sup> ფუ ჯუ – ჩინეთის ძველი ქალაქი.

<sup>2</sup> ჩანიანი – ჩინეთის უძველესი დედაქალაქი.



\* \* \*

ზეცა –  
იესოს ტანია,  
მთიები – სისხლის წვეთები,  
მთვარე –  
ნაღახვრი იარა,  
რომელმაც სივრცე დანისლა,  
იმ ერთმა გამოიარა  
ბნელი,  
მზიანი დამისა.

1978



## ბარენცის ზღვა

აქ განისვენებს რუალდ ამუნდსენ  
და ქარიშხალად აქ ბობოქრობს  
სული ნობილეს –  
ზვირთებად ცისკენ ხელაპყრობილი,  
არ ჩანს “ლატამი”  
ლურჯი ფსკერი რომ  
დაამძიმა  
და ზღვა ხშირ-ხშირად მოდის ნაპირთან  
და ეუბნება მიწას სამძიმარს.

1964



\* \* \*

ვარსკვლავები –  
გულწითელა ჩიტებია,  
მთვარე-დათოვლილი კაკანათი,  
სადამო ბავშვებს რომ  
დაპირდა,  
ნეტავი რა აქვთ საკამათო,  
ამ ტალღებს,  
იმ მწვანე  
ნაპირთან.

1996



## მთები

როცა ცადაწვდილ ვუმზერ მწვერვალებს,  
ვშიშობ,

მზერა არ დამიელამდეს,

რადგანაც მათში –

ვჭვრეტ რუსთაველს,

დანტეს,

გოეთეს,

მარად ფიქრიან სიხუმეში მღვარი

ყელამდე,

მთები,

ო, როგორ ჰგვანან პოეტებს.

1991





\* \* \*

მოფრინდება და ფასკუნჯი  
ზოგჯერ ზღაპარში  
მიტაცებს,  
ფრთებზე ცეცხლმოკიდებული,  
მაშინ ამ ცოდვილ მიწაზე –  
თავი მეუფედ მებუღვის.

1999



## ბუხარი

მკვალავებ გადახვეულ ქედებს,  
დამღვართ ზამთრის ქარ-წვიმაში,  
ერთმანეთი არ ეთმობათ,  
ყინვის პაწაწინა რქებით –  
ხტიან წყლები არჩეებივით,  
ელოდება ტყეთა ნობათს –  
ბუხარი პირდაფჩენილი.

1961



\* \* \*

ცა –

პოეზიის მოჭგავს სადამოს  
და მთები ფეხისწვერზე იწვევენ,  
რომ დედამიწა კარგად ისმენდეს:  
სახე გაბადრულ მოვარის შეძახილს  
და ვარსკვლავების –  
ცეცხლისმფრქვეველ  
აპლოდისმენტებს.

1960



\* \* \*

სიცხით და ხვატით ცხრატყავ –  
გაცლილი,  
წითლად მზის ენა გადმოგდებული,  
სანაპიროზე დგას აგვისტო –  
ეს ძაღლთაპირი,  
და ცეცხლს უკიდებს გამგლეღ-  
გამომგლეღს,  
გულში იხუტებს შეშინებულ  
ტაღლას ნაპირი,  
ამხელა ზღვაში ქარს  
რა გამოლევს.

1970



\* \* \*

დედა ქართველისა –  
სამ, ოთხ აკვანს ერთად  
არწევდა –  
და დამღეროდა “ნანას” პატარებს,  
დღეს ყველაფერი გადაგვარდა,  
დაცხრა –  
დაკინდა,  
“სარწეველაზე” თვალი ჩუმად რომ  
გაუაპარე,  
ჩემმა ბავშვობამ შემომტირა  
ძველი აკვნიდან.

1959



\* \* \*

ანძევი ლურჯ გემბანებზე –  
დგანან ისე, ვით გრანდები,  
ქარებს დარჩა ზღვის ტრამალი,  
მიტომაა ცა რომ ბრაზობს,  
მთვარე მაინც მიბრძანდება –  
თეთრი ღრუბლების ამალით –  
ვარსკვლავებთან  
სადარბაზოდ.

1964



\* \* \*

მე ვარ პოეტი,  
და ვარ ღვთისშვილი  
და ცამ და მიწამ მიტომ მიშველა,  
რომ ვშრიალეებდე ტყედ და ბალახად,  
მზეო,  
ო, მზეო,  
მოდი ხშირ-ხშირად,  
ხსოვნის ბილიკი და სამარე  
ამიტალახე.

2004



\* \* \*

კარებს ნუ ალებთ  
ასე ხშირ-ხშირად,  
გულს მიმდაბლავებს მათი  
ჭრიჭინი,  
თითქოს მენგრევა თავზე კედლები,  
საკუთარ ფიქრთან მარტო  
დამტოვეთ,  
ნულარ დაარღვევთ ჩემს  
სიმარტოვეს  
გემუდარებით და  
გვეედრებით.

2001





\* \* \*

ორმოცდაათს რაც გაცილდი,  
გზები გაჩნდა მოლიპული,  
ხშირად ღებები და ეცემი  
და პირს ველარ გიხსნის დანა,  
იქ მიდიხარ –  
სადაც დგანან,  
დღე და ღამე ზურგშექცევით.

2001



\* \* \*

როგორც საადრო ღრუბლებიდან,  
თვალებიდან ცრემლები იწვიმებენ –  
ცოდვით,  
იმ პატარა ბიჭის,  
რომელსაც ეწვის შიშველი წვივები –  
დასუსხულს წარსულის ჭინჭრით.

1967



\* \* \*

როცა მტრედისფრად ინათა,  
ოდიში ჩამოიარა,  
სვანეთის მაღალ მთებიდან –  
გამოქცეულმა ენგურმა,  
და... შავ ზღვას ანაკლიასთან –  
რალაცა ჩაუმეგრულა.

1959



\* \* \*

ურჩი ღმერთები რომ ჩამოახრჩონ,  
ღრუბლები ელვის თოკებს  
ნასკვავენ,  
ქარები სივრცეს აფორიაქებს,  
ცის კენწეროზე –  
ერთი ვარსკვლავი  
ზის და დაცქერის მოწყენილი,  
როგორც იაქე.

1960



✽

\* \* \*

გადაშლილა ღამის ველი,  
სხივები კრთის და  
მარმაშობს...  
მთვარე, როგორც ღათვის ბელი,  
ღრუბლების შავ ბუნაგიდან –  
გამოსულა სათამაშოდ.

195



\* \* \*

აღმოსავლეთით –  
ცა გამთენიის,  
ვარკველავებს ბღავის,  
როგორც ბოსელი,  
კრთის და ეღვარებს მთოვარის ნიში,  
სასაფლაოზე შავით მოსილი,  
ჩუმაღ მიმოდის სიკვდილის  
შიში.

1964



\* \* \*

ქვეყნად ყოველი არის ამაო,  
ტყუილად ვსდიე მე ბედის  
ვარსკვლავს,  
წამს მანათობელს ამ წუთისოფლის,  
მზე ჩადის დედა,  
და ეს მზის ჩასვლა,  
მონატრებაა ჩემი, –  
შენთან მარადუამს ყოფნის.

2002



\* \* \*

მტრისაგან თუ მოყვასისგან,  
ათასჯერ ცეცხლმოდებული,  
შენი ოშკი და თმოგვი ვარ,  
სინამდვილედ და ზღაპარიც,  
მეც ვაღმოსდილი მოგივალ,  
ვით ჩემი მამა-პაპანი.

2003







\* \* \*

ამ სოფლიდან იქ მიგვედენის  
დრო და...  
სიკვდილიც ბაყბაყ დევია  
და სანამ შეგვჭამს ყველას უკლებლივ,  
მანამ მიწა კი –  
კაცთა სიცოცხლეს  
და ცა – ვარსკვლავებს ილუკმება.

1964



\* \* \*

თუ მარადისი შენ ხარ ნათელი,  
მაშინ მე შენი მონა-მორჩილი,  
ღამე, რომ დამღევს,  
მისგან მიხსენი,  
შენ გვეედრები და შემოგჩივი,  
ღვთის შვილი –  
ვაჟა ეგრისელი.

2004



\* \* \*

სანაპიროზე შავით მოსილი,  
ზღვაში დამხრჩვალთა  
დედებივით  
ისხდნენ ლოდები.  
ჩანდა მიდამო დამეწერილი და  
წალექილი,  
და მაინც ერთი  
პატარა ტალღა  
ძლივს ამობობდა  
ნაპირზე მადლა  
და  
მე გამიწვა ფეხთან ლეკვივით.

1971



\* \* \*

სადღაც,  
ხევს მიღმა ისმის “მთიბლური”  
(აღბათ ოსირისს უმღერს ისიდა...),  
და მერე გვიან მთამ,  
ვით სპარსული  
თავი,  
ამოჰყო რძიან ნისლიდან –  
გადაპარსული.

1956



\* \* \*

დუღს ზღვა საძროხე ქვაბივით  
და აუდის ნისლის –  
სქელი ოხშივარი,  
ქარები კი, ქროლვით სურვილს  
ინაღდებენ,  
ცა,  
ცამცუმის კოშკი არის,  
მოჩახჩახე –  
ვარსკვლავების ჩირაღდნებით.

1962



\* \* \*

შორი მთებიდან გადმოსვეწილი,  
სიმარტოვით და სიცხით  
დაღლილი,  
ტალახიანი წვიმის ფეხებით,  
კუდამოხრილი ნაცემ ძაღლივით,  
გზა სოფელ-სოფელ  
შიშს და ღამეს მიიყეფება.

1958



\* \* \*

ნამტირალეთ,  
ნარბენებს და  
ნამქუხარებთ,  
სძინავთ ღრუბლებს ღამის მიღმა –  
ზღვით გაღეშილით,  
ზვირთზე ართავს ქარს ათასი ნერეიდა,  
და გადმოჩქევს კოლხეთის ცას –  
“ოჯალეში” –  
წინაპრების ჩაფლულ მნათთა  
ქვევრებიდან.

1961





## ლაზარე

სამყაროს შეარყევს სხვა ზარი  
და ათასწლეულით შეფუთვნილს  
უფლის წიგნს –  
ცის ნაწერ “ეფუთის”,  
რომელიც ქართველებს ეკუთვნის,  
გახსნის...  
და მკედრეთით  
აღსდგება ლაზარე.

1961



\* \* \*

მამლის ყივილით აღიდებული –  
ცისკრის ნაპირი  
საღღაც ცახცახებს  
და მზეც მიიწევს მისკენ მხარულით,  
შორს მოსჩანს მთვარე –  
უფლის სასახლე,  
მნათთა მესრებით შემოსარული.

1961



\* \* \*

ვცან სასწაული წყლისა და ცეცხლის,  
მიწის გაქრობის შიში  
მისი რყევისგან ვიგრძენ,  
და მაინც ვსახავ ცას –  
მედიუმად,  
თუმც ველარ ჩავწვდი სამყაროს  
სიბრძნეს:  
რას ფიქრობს მთვარე,  
ვარსკვლავები ან რატომ ღუმან.


1962



\* \* \*

ურჯულოებმა,  
მარტოობის ჯვარზე გაკრული,  
ვით ქრისტეს კვართი,  
ქართლო,  
ბევრჯერ გაგინაწილეს,  
ხან გამოკლებდნენ...  
და ხან გწელავდნენ,  
შენს თვალებიდან ათასეულ  
წლებით ნაწვიმი –  
ცრემლი და სისხლი გწვდება წელამდე.

1993



\* \* \*

მზე –  
დედამიწის სიყვარულია  
და გულის სითბო არასოდეს  
ადარ აკლდა მას,  
მთვარე სიყვითლით სნეულია  
და არ მორჩება,  
ელვა ხშირ-ხშირად ხსნის და  
ხურავს ღამის აკლდამას –  
პირთამდე სავსეს –  
ფოსფორიან მნათთა ჩონჩხებით.

1964



\* \* \*

მეუდაბნოე,  
ღვთისმოშიშ ბერივით,  
მწირი და მარტვილი  
და კვირის ღოცვებით მონუსხული,  
კკითხულობ ქართველის ცას –  
გაშლილს ეტრატვიით  
და ნაწერს ვარსკვლავთა ნუსხურით.

1962



## მტრელი

ცის დიდ ტაძარში,  
ვითარც ბერები,  
ელვის სანთლებით ხელში –  
შავი ღრუბლები შედის,  
ჩამოქურუხდა...  
არ ჩანს მთები,  
ქარიც,  
აღარც ცა,  
უცებ მოფრინდა და რაფაზე  
ჩამოჯდა მტრელი  
და ნოეზე...  
და წარღვნაზე მეღუღუნება  
რადაცას.

1962

\* \* \*

